

თერაპევტსა და აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვის მშობელს
შორის ნდობასთან დაკავშირებული ფაქტორები.

ლეილა ისმაილოვა

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა
და ხელოვნების ფაკულტეტის კლინიკური ფსიქოლოგიის მაგისტრის აკადემიური
ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად .*

ფსიქოლოგია: კლინიკური ფსიქოლოგია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: თინათინ ჭინჭარაული პროფესორი

PhD, BCBA

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2022

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომელიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ლეილა ისმაილოვა

აბსტრაქტი

ყოველწლიურად აუტიზმის სპექტრის დარღვევით (ასდ) დიაგნოსტირებული ბავშვების და მოზარდების რიცხვი მატულობს. ამერიკის შეერთებული შტატების დაავადებათა კონტროლის ცენტრის 2021 წლის ბოლოს გამოქვეყნებული მონაცემების თანახმად, 44 ბავშვში 1-ს აღენიშნება აუტიზმის სპექტრის დარღვევა. ასდ-ს დადასტურებული მედიკამენტოზური მკურნალობა არ არსებობს. ყველაზე ეფექტურ მეთოდად დღეს მსოფლიოში ქცევის გამოყენებით ანალიზზე დაფუძნებული თერაპია (ABA) მიიჩნევა.

კვლევა ჩატარდა აუტიზმის სპექტრის მქონე ბავშვების მშობლებსა და ქცევით თერაპევტებს შორის ნდობასთან დაკავშირებული ფაქტორების გამოსავლენად. კოვიდ პანდემიის ფონზე ბევრი რამ შეიცვალა დაწესდა ახალი რეგულაციები აბილიტაციის ცენტრებში, შემოღებულ იქნა თერაპიის ახალი ონლაინ-ფორმატი. აღნიშნულმა გავლენა მოახდინა მშობელი-თერაპევტის ურთიერთობაზე.

კვლევა ჩატარდა თვისებრივი კვლევის მეთოდის, ჩაღრმავებული ინტერვიუს საშუალებით. მონაწილეობა მიიღო 8 ადამიანმა. მშობლების და თერაპევტების რაოდენობა პროპორციულად იყო გადანაწილებული (4თერაპევტი და 4 მშობელი).

მიღებული შედეგების დამუშავება მოხდა ორ ნაწილადა. თერაპევტებისთვის მშობლების მიმართ ნდობის შემდეგი საკითხები გამოიკვეთა, მხარდაჭერის დეფიციტი, აუდიარებლობა, დამოკიდებულებები მათი კომპეტენციის მიმართ, ძალადობის ფაქტები მშობლების მხრიდან ბავშვების მიმართ და დაუმორჩილებლობა კოვიდ რეგულაციებისადმი ხოლო მშობლებისთვის შემდეგი თემები : თერაპევტის პიროვნული ნიშნები, პროფესიული უნარები, ცვლილებები ბავშვის განვითარებაში, თანამშრომლობითი უნარები.

საძიებო სიტყვები: აუტიზმი, მშობლები, ნდობა, ქცევითი თერაპევტი

Abstract

The number of children and adolescents diagnosed with Autism Spectrum Disorder (ASD) is increasing every year. According to data released in late 2021 by the United States Centers for Disease Control, 1 in 44 children has an autism spectrum disorder. There is no approved medical treatment for ASD. Analysis-Based Therapy (ABA) is considered to be the most effective method in the world today.

The study was conducted to identify trust-related factors between parents of children with the autism spectrum and behavioral therapists. Due to the Covid pandemic, many things have changed, new regulations have been imposed on specialized rehabilitation centers, a new online format of therapy has been introduced. This has had an impact on the parent-therapist relationship.

The research was conducted through a qualitative research method, in-depth interview.

8 people participated. The number of parents and therapists was proportionally distributed (4 therapists and 4 parents).

The following issues were identified by therapists regarding parental trust, lack of support, non-recognition, attitudes towards their competence, facts of violence from parents towards children and disobedience to introduced regulations while for parents the following topics were identified: Therapist's personal traits, professional skills, changes in child development, collaborative skills.

Key words: Autism, Parents, Trust, Behavioral therapist.